პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

5 თებერვალი
სამშაბათი,
1963 წ.
№ 25 (2130)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 3 კაპ.





## მოციგურეთა ევროპის ჩემპიონატი

დაძაბული სპორტული ბრძოლებით აღინიშნა ევროპის ჩემპიონატი ციგურებით რბენაში, რომელიც ჩატარდა შვეციის ქალაქ ჰეტებორგში. მრავალჭიდის პირველ დისტანციაზე — 500 მეტრზე რბენაში საუკეთესო შედეგი აჩვენა სსრ კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ბორის სტენინმა — 42,4 წამი. 5.000 მეტრზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა შესანიშნავ სპორტულ ფორმაში მყოფ ნორვეგიელ მოციგურეს კნუტ იუჰანესენს. მისი შედეგი — 7 წუთი და 55,2 წამი, „ულევის" სტადიონის საციგურაოს და ევროპის რეკორდია.

შეჯიბრების მეორე დღე კვლავ ბ. სტენინის გამარჯვებით დაიწყო. 1.500 მეტრი მან გაირბინა 2 წუთსა და 10,2 წამში, რაც ახალ მსოფლიო მიღწევას წარმოადგენს დაბლობი საციგურაოებისათვის. მაგრამ საბჭოთა მოციგურის ეს წარმატებანი დაჩრდილა მისმა სუსტმა გამოსვლებმა 5.000 და 10.000-მეტრიან დისტანციებზე, რის გამოც იგი იძულებული გახდა მრავალჭიდში მხოლოდ მეხუთე ადგილით დაკმაყოფილებულიყო.

10.000 მეტრზე საუკეთესო შედეგი ჰქონდა შვედ ი. ნილსონს — 15.53,4. ევროპის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა ყველა დისტანციაზე თანაბრად გამოსულმა, ნორვეგიელმა ნილს ონესმა. მისი შედეგია 183,793 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა მისივე თანაგუნდელი კნუტ იუჰანესენი, მესამეზე აგრეთვე ნორვეგიელი პერ ივარ მუ.

როგორც ცნობილია, ავსტრიაში, ინსბრუკის მიდამოებში (ზეეფელდი) ტარდებოდა მსოფლიოს პირველობა თანამედროვე ზამთრის ორჭიდში — ბიატლონში. საბჭოთა გუნდი წარმოდგენილი იყო ვ. მელანინით, ნ. პუზანოვითა და ვ. პშენიცინით.

საბჭოთა სპორტსმენებმა აჩვენეს მაღალი შედეგები როგორც თხილამურებით რბენაში, ისე სროლაში და მოიპოვეს პირველი ადგილი გუნდურ ჩათვლაში.

პირველი ადგილი მოიპოვა პირად ჩათვლაში გამოჩენილმა საბჭოთა ბიატლონისტმა ვ. მელანინმა.

* * *

**სურათებზე:** ზევიდან — ვ. მელანინი, ნ. პუზანოვი და ვ. პშენიცინი.

## მოსკოვის „დინამო" — ჩემპიონი

დამთავრდა ჩვენი ქვეყნის „მარათონული" ჩემპიონატი ბურთით ჰოკეიში. შეჯიბრება ძლიერად ჩაატარა მოსკოვის „დინამოს" ჰოკეისტთა გუნდმა, რომელმაც 3 თებერვალს მოიპოვა თავისი მორიგი, სატურნირო ცხრილის უკანასკნელი გამარჯვება და გაინაღდა 1963 წლის ჩემპიონის ოქროს მედლები.

მეორე ადგილზე გამოვიდა ჩვენი ქვეყნის გასული წლის ჩემპიონი — სვერდლოვსკის სკა-ს გუნდი. ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ კალინინგრადის „ვიმპელის" ჰოკეისტებს.

## ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში შედგა ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის პირველი საორგანიზაციო კრება, სადაც განხილულ იქნა 1963 წლის შეჯიბრებებისათვის მზადების გეგმები. მოხსენება გააკეთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ნ. გულიაევმა.

პირველი და ოლიმპიური ნაკრები გუნდების წევრები უახლოეს პერიოდში მზადებას აწარმოებენ თავიანთ კლუბებში სპეციალური ინდივიდუალური გეგმებით.

ოლიმპიურ ნაკრებს ამხანაგური შეხვედრები ექნება შვეციის, უნგრეთისა და ბულგარეთის გუნდებთან, აგრეთვე 2 ოფიციალური მატჩი ფინეთთან. რაც შეეხება პირველ ნაკრებს, მისი სპარინგ-პარტნიორები აგრეთვე იქნებიან შვეციის, უნგრეთისა და ბულგარეთის პირველი გუნდები. 23 მარტს ლოზანაში (შვეიცარია) მოეწყობა კენჭისყრა ევროპის თასზე ფეხბურთში, რის შედეგადაც გამოვლინდება ჩვენი მოწინააღმდეგე ამ შეჯიბრებაში.

* * *

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა 10 საუკეთესო მსაჯის სია შარშანდელი სეზონის შედეგების მიხედვით. აი ეს სიაც (ანბანის მიხედვით): ს. ალიმოვი (მოსკოვი), კ. ანძოულისი (კაუნასი), პ. ბელოვი (ლენინგრადი), პ. გავრილიადი (სოჭი), პ. კაზაკოვი (მოსკოვი), კ. ყრუაშვილი (თბილისი), ნ. ლატიშევი (მოსკოვი), ი. ლიტვინასი (ვილნიუსი), ი. ლუკიანოვი (მოსკოვი), ე. ოდინცოვი (ლენინგრადი).

## მოტოციკლით ყინულზე

მოტოსპორტის საკავშირო ფედერაციისა და საბჭოთა კავშირის ცენტრალური ავტომოტოკლუბის ინიციატივით წელს პირველად მოეწყო მოტოციკლისტთა შეჯიბრება ყინულზე საერთაშორისო ფედერაციის თასზე.

ეს საინტერესო ტურნირი 10 რბოლისაგან შედგება. 5 მათგანი გაიმართება საბჭოთა კავშირში, ხოლო დანარჩენი 5 — შვეციაში. ყოველი ქვეყანა (საბჭოთა კავშირი, ფინეთი და შვეცია) შეჯიბრებაში სამი ჩასათვლელი მოტოციკლისტით გამოდის, გამარჯვებული გამოვლინდება რბოლების საერთო ჯამით.

დამთავრდა ტურნირის პირველი ეტაპი მოსკოვში, რომელშიც ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია გასული წლის ჩემპიონმა, უფელმა ბ. სამოროდოვმა. მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ვ. ნერიტოვმა და შვედმა ო. ესტებლუმმა. 5-7 თებერვალს მოტოციკლისტები სტარტს აიღებენ უფაში, ხოლო შემდეგ გაემგზავრებიან შვეციაში.

## უძლიერესთა შორის

კალათბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა 25 უძლიერესი სპორტსმენის სია როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის 1962 წლის შედეგების მიხედვით.

ქალთა შორის ცენტრალურ თავდამსხმელებში უძლიერესად იქნა აღიარებული ტტტ-ს მოთამაშე **ს. სმოლძინია.** თავდამსხმელებში პირველ ნომრად გავიდა **ი. დაკტარაიტე** (კაუნასის „პოლიტექნიკი"), ხოლო მცველებში — **ნ. პოზნანსკაია.** უძლიერესთა სიაში მოხვდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელი **ნ. ჯაფარიძე.**

ვაჟთა შორის ადგილები ასე განაწილდა: ცენტრალური თავდამსხმელები — **ა. პეტროვი** (მოსკოვი, „დინამო"), **ვ. ზუბკოვი** (ცსკა), **ა. ლეჟავა** (თბილისის „დინამო"), **ი. კრუმინში** (რიგის სკა), **ა. კანდელი** (სვერდლოვსკის „ურალმაში").

თავდამსხმელები — **გ. ვოლნოვი, ი. კორნეევი, ი. ლიპსო** (ყველა ცსკა), **ვ. უგრეხელიძე** (თბილისის „დინამო"), **ა. ვალტინი** (კიევის „სტროიტელი"), **ვ. ბუდიაკი** (ოდესის „ბურევესტნიკი"), **ნ. ბაგლეი** (კიევის „სტროიტელი"), **ლ. მოსეშვილი** (თბილისის „დინამო"), **ვ. კრისევიჩი** (მინსკის „სპარტაკი"), **ვ. სტრემოუხოვი** (კიევის „სტროიტელი").

მცველები — **ვ. გლადუნი** (კიევის „სტროიტელი"), **ი. კალნინში, ვ. მუიჟნიეკსი, მ. ვალდმანისი** (ყველა რიგის სკა), **ა. ტრავინი** (ცსკა), **ვ. ნოვიკოვი** (სვერდლოვსკის „ურალმაში"), **ო. კუტუზოვი** (ლენინგრადის „სპარტაკი"), **ი. რადიკასი** (კაუნასის „ჟალგირისი"), **ა. ალაჩაჩიანი** (ცსკა).



უკვე მეოთხე დღეა, რაც სპორტის სასახლეში დაიწყო „ბურევესტნიკის" ხელბურთელთა საკავშირო შეჯიბრება ზამთრის არდადეგების პრიზზე. ქალთა გუნდებს შორის პრიზისათვის ბრძოლაში ჩაებნენ მინსკის, კიევისა და ლენინგრადის ფიზკულტურის, სვერდლოვსკის პოლიტექნიკური, კრასნოიარსკისა და ჩერკასის პედაგოგიური ინსტიტუტების კოლექტივები. აღსანიშნავია, რომ ეს პრიზი გასულ წელს ჩერკასელმა ხელბურთელებმა მოიპოვეს. ვაჟთა შორის ამ ჯილდოსათვის იბრძვიან 1962 წლის პრიზის მფლობელი თბილისის „ბურევესტნიკი" და აგრეთვე მოსკოვის საავიაციო, დნეპროპეტროვსკის მეტალურგიული, ლენინგრადის პოლიტექნიკური, მინსკის პოლიტექნიკური და თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტების ხელბურთელთა გუნდები.

ამ შეჯიბრების ანგარიში იხილეთ ჩვენი გაზეთის მესამე გვერდზე.

**სურათზე:** ჯ. ცერცვაძე უკუშემოტრიალებით ბურთს გზავნის მინსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელბურთელთა გუნდის კარში.

## მსოფლიო ჩემპიონატის წინ

სხვადასხვა ქვეყნის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდები მსოფლიო ჩემპიონატისწინა საკონტროლო მატჩებს ატარებენ ევროპაში.

ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ფინეთის ნაკრები გუნდები. პირველად ანგარიშით 7:2 გაიმარჯვეს გერმანელებმა. მეორე მატჩში ფინელებმა აიღეს მოკრძალებული რევანში — 3:2.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მეორე შემადგენლობა ამ დღეებში შეხვდა მასთან სტუმრად ჩასულ მოსკოვის „კრილია სოვეტოვს". შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა ჰოკეისტების გამარჯვებით — 2:1. „კრილია სოვეტოვის" მეორე შეხვედრა გაიმართა ქალაქ პარდუბიცაში. აქ ადგილობრივმა „ტესლამ" გაიმარჯვა სტუმრებზე — 4:2.

# აჭარა სპარტაკიადის წინ






## ხარვეზი დროზე უნდა აღმოიფხვრას

აჭარაში ფართოდ გაიშალა მზადება საოლქო და რესპუბლიკური სპარტაკიადებისათვის, შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის ლ. უკლებას თავმჯდომარეობით. საორგანიზაციო კომიტეტმა მწვრთნელთა საბჭოებთან ერთად შეადგინა ნაკრები გუნდები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

მძლეოსანთა ნაკრები, რომლებსაც ავარჯიშებენ ლ. გიორგაძე, ა. კუკი და ი. ბეზროდნი, იანვრის პირველი რიცხვებიდან შეუდგა წვრთნას. თუ მოვიგონებთ, რომ წინა სპარტაკიადაზე აჭარის მძლეოსნები მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდნენ, ცხადია, მათ ბევრი მუშაობა მართებთ ამ ჩამორჩენიდან თავის დასაღწევად.

დიდ იმედებს იძლევა ნაკრები მაგიდის ჩოგბურთში (მწვრთნელი კ. გუგუშვილი). ახლა გუნდში ბევრია ძლიერი სპორტსმენი, რომელთაგან ს. პარფინიდიმ და ს. სარხოიანმა მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრებაზე მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

კარგ ფორმაშია გუნდი კლასიკურ ჭიდაობაში. აქაური სპორტსმენები ა. მიმინოშვილის ხელმძღვანელობით რეგულარული ვარჯიშით სრულყოფენ ტექნიკას და ფიქრობენ იბრძოლონ საპრიზო ადგილებისათვის. უნდა ითქვას, რომ სახელგანთქმულმა ოსტატებმა რ. აბაშიძემ და დ. გვანცელაძემ სწორედ აქ აიდგეს ფეხი.

ემზადებიან თავისუფალი სტილის მოჭიდავეებიც. შეიქმნა ნაკრები გუნდები კრივში (მწვრთნელი შ. ხუდოიანი), ტყვიით სროლაში (მწვრთნელი ო. მელია) და ა. შ. მაგრამ საცხენოსნო სპორტში, თანამედროვე ხუთჭიდსა და ფარიკაობაში გუნდები ჯერ კიდევ არ დაკომპლექტებულა.

ძნელ პირობებში უხდებათ ვარჯიში მოცურავეებსა და წყალბურთელებს, ვინაიდან საამისო ბაზა აჭარაში არსადაა. ისინი ცდილობენ უქმად არ დაკარგონ დრო, ვარჯიშობენ საერთო ფიზმომზადებაში და ელოდებიან თბილი ამინდების დადგომას, როცა შესაძლებელი იქნება სპეციალურ წვრთნაზე გადასვლა. ამავე ბედს იზიარებენ წყალში მხტომელებიც.

ბევრია გასაკეთებელი ძალოსნობაში, ფრენბურთში, კალათბურთში და სპარტაკიადის პროგრამაში შემავალ სპორტის სხვა სახეობებში.

როგორც ცნობილია, ნაკრების გარდა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეთა და საწარმოთა კოლექტივების გუნდებიც. საწარმოთა კოლექტივებიდან თბილისში წასვლის უფლება მოიპოვეს მომთუთიებელი ქარხნის ტანმოვარჯიშეებმა, საქერვალო ფაბრიკის ველოსიპედისტებმა, გემთსაშენი ქარხნის მძლეოსნებმა და მოცურავეებმა, ელექტროხელსაწყოების ქარხნის ძალოსნებმა.

ახლა, როცა საქართველოს სპარტაკიადამდე 4 თვე რჩება, აჭარის ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ არსებული ხარვეზების დასაძლევად.

**გ. ჟანტურია**

• • •

**სურათებზე: ზევით** — მაგიდის ჩოგბურთში ნაკრები გუნდის მწვრთნელი კ. გუგუშვილი ვარჯიშის შემდეგ ესაუბრება სპორტსმენებს. **ქვევით მარცხნივ** — მოკრივეები მორიგ წვრთნაზე, **მარჯვნივ** — მოჭიდავეები გ. თარგამაძის ხელმძღვანელობით ხვეწენ ტექნიკას. ხალიჩაზე არიან ოსტატები ბ. ჩხაიძე და გ. გოგიჩაიშვილი.

ფოტო **ა. ჩანტლაძისა.**





## მისაბაძი წამოწყება

მიმდინარე წლის აგვისტოში, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გაიმართება საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები. ამ ღონისძიებისათვის ჯეროვანი და სათანადო მზადება ჩვენი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. სპარტაკიადისათვის მზადებას ემსახურებოდა მწვრთნელთა სემინარი ჭიდაობაში, რომელიც ამას წინათ მოაწყო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ძალოსნობის კათედრამ და ჭიდაობის რესპუბლიკურმა ფედერაციამ. სემინარში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს წამყვანმა მწვრთნელებმა, ახალგაზრდა სპეციალისტებმა და თვით მოჭიდავეებმა.

სემინარზე მოსმენილ იქნა მთელი რიგი საინტერესო მოხსენებები: წვრთნის საფუძვლების, ფიზიკურ თვისებათა განვითარების მეთოდიკის, მოჭიდავეთა რეჟიმის, ბრძოლის ტაქტიკის, შეკრებათა ჩატარების მეთოდიკის და სხვა საკითხების შესახებ. ლექციები წაიკითხეს რესპუბლიკის წამყვანმა მწვრთნელებმა ვ. კუხიანიძემ, მ. თიკანაძემ, ლ. კაპიტონოვმა, ვ. ილურიძემ, გ. ვარძელაშვილმა, შ. ნოზაძემ, ფიზკულტურის ინსტიტუტის ძალოსნობის კათედრის გამგემ ი. ალიხანოვმა, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ოყროშიძემ, ვ. მაისურაძემ და სხვ.

სემინარმა განიხილა და დააზუსტა წამყვან მოჭიდავეთა წვრთნის ინდივიდუალური და ნაკრები გუნდების გეგმები. აქვე განხილულ იქნა ახალი რთული ტექნიკური ილეთების მეთოდიკა, ზოგიერთ კომბინაციათა თავისებურებანი და ტექნიკის ელემენტთა მრავალფეროვანი ვარიანტები.

**ლ. თუშიშვილი**

## ოსტატის ორი შედეგით

ბაკურიანში გაიმართა თბილისის პირად-გუნდური პირველობა ხათხილამურო სპორტში. გამარჯვებისათვის იბრძოდნენ ფიზკულტურის, სასოფლო-სამეურნეო, უცხო ენების, პედაგოგიური ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტის სპორტსმენები.

ვაჟთა 15 კმ რბენაში გამარჯვებული გამოვიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრი ნ. კოზანაშვილი — 49.15. ქალთა 5 კმ დისტანციაზე ფინიშთან პირველი იყო კ. კრუგლოვა — 19.05. ამავე დღეს გაიმართა სლალომიც. ქალებში ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა ქ. ჯეირანაშვილს — 55,5. ვაჟთა შორის გაიმარჯვა საკავშირო ნაკრების წევრმა გ. აბრამიშვილმა (ორივე ფიზკულტურის ინსტიტუტიდან).

შეჯიბრების მეორე დღეს მოეწყო რბენა ვაჟებისათვის 20 კილომეტრზე. ამჯერად ვაჟთა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო ე. მორდვინოვი — 1:00,20. ნ. კოზანაშვილი გამარჯვებულს ჩამორჩა 1.22 წუთით. 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ორმა სპორტსმენმა შეასრულა ოსტატის ნორმა. კონკურსგარეშე მონაწილე ზ. თვაურმა მოაგროვა 223 ქულა, ხოლო პირველი ადგილის მფლობელმა მ. გავამ — 219 ქულა. გამარჯვებულს 4,5 ქულით ჩამორჩა ჯ. თვაური (ორივე ფიზკულტურის ინსტიტუტიდან).

მესამე დღე დაეთმო გიგანტურ სლალომს. ვაჟთა შორის საპრიზო ადგილები გაინაწილეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა ა. ჯეირანაშვილმა — 1.12,0, ვ. ალახვერდიევმა — 1.14,4 და გ. აბრამიშვილმა — 1.16,2. ქალებში ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა ქ. ჯეირანაშვილს — 1 33,8.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი.

**გ. თომაევი,**
**შეჯიბრების მთავარი მდივანი.**

• • •

**სურათზე: ზ. თვაური ტრამპლინიდან ხტომის დროს.**



## მარგანეცის ქალაქს ახალი სტადიონი ექნება

ჭიათურის სტადიონს რამდენიმე წლის წინ ჩაეყარა საფუძველი და ახლა მისი მშენებლობა განახლდა. ტრესტ „ჭიათურმარგანმშენს" იგი შვიდწლედის მეხუთე წლის მნიშვნელოვან სამშენებლო ობიექტთა სიაში აქვს შეტანილი.

ამ რამდენიმე დღის წინ სტადიონის მშენებლობაზე გაეშურნენ „ჭიათურმშენის" სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადები გ. ჭოხონელიძისა და ი. გაბრიჭიძის ხელმძღვანელობით. ახლა ისინი რკინაბეტონის ბლოკებით აწარმოებენ ტრიბუნების გადახურვას. მნიშვნელოვანი სამუშაოები მიმდინარეობს აგრეთვე მოედნის მოსამზადებლად, დრენაჟის გასაკეთებლად და სხვ.

სტადიონის ტერიტორიაზე გეგმით გათვალისწინებულია სპორტული დარბაზისა და დახურული საცურაო აუზის აგება. სპორტული დარბაზის საძირკველთან უკვე გამოჩნდნენ სამშენებლო ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოს ბრიგადები. ერთ-ერთ წამყვან ბრიგადას ხელმძღვანელობს პირველთანრიგოსანი კალათბურთელი, კომუნისტური შრომის დამკვრელი ა. კიკნაველიძე. მისი ბრიგადის წევრებმა დიდი ხანია გაითქვეს სახელი კარგი მუშაობით და ტრც აქ ღალატობენ თავიანთ ტრადიციას. მშენებლებმა იკისრეს 1963 წლის სეზონშივე, ივნისის პირველ რიცხვებში, დაამთავრონ ძირითადი სამუშაოები. ჭიათურელი მაყურებელი სულ მალე, რამდენიმე თვის შემდეგ, ახალ სტადიონზე იხილავს ფეხბურთის მატჩებს. სტადიონი თავისი სათავსოებით მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მაღაროელ სპორტსმენთა შემდგომ დაოსტატებას.

**გ. ბერიძე**

# საკავშირო ტურნირი დაიწყო

2 თებერვალს, ლენინგრადსა და ნოვოსიბირსკში დაიწყო კალათბურთელ ქალთა ზამთრის საკავშირო ტურნირი. თავდაპირველად გუნდები ერთმანეთს წინასწარ თამაშებში შეხვდებიან, ხოლო შემდეგ — ფინალში.

წინასწარი თამაშები დამთავრდება 14 თებერვალს. გუნდები, რომლებიც თავიანთ ჯგუფებში დაიკავებენ პირველ 6 ადგილს, ჩაებმებიან ფინალურ ტურნირში, რომელიც ტალინში ჩატარდება. ფინალში ჩაითვლება წინასწარი თამაშების შედეგები. აღსანიშნავია, რომ ქალთა შორის, ისე როგორც ვაჟებთან, არ გათამაშდება ადგილები 13-დან 24-ე.

ლენინგრადის ჯგუფში გამოდიან შემდეგი კოლექტივები: ლენინგრადის სკა, ლენინგრადის „ტრუდი", ბაქოს „ბურევესტნიკი", როსტოვის „ბურევესტნიკი", კიევის „დინამო", მინსკის „დინამო", ტარტუს უსკა, კიშინიოვის „ინქდორსტროი", მოსკოვის „სერპ ი მოლოტი", ვილნიუსის „ჟალგირისი", ერევნის „სპარტაკი", ტაშკენტის „ტექსტილმაში".

ნოვოსიბირსკის ჯგუფში თამაშობენ: რიგის ტტტ, მოსკოვის „დინამო", მოსკოვის „ბურევესტნიკი", ფრუნზეს „სპარტაკი", მოსკოვის ოლქის „სპარტაკი", ალმა-ატის „ბურევესტნიკი", ლენინგრადის „ბურევესტნიკი", საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, დნეპროპეტროვსკის „სტალი", კაუნასის „პოლიტექნიკა", სვერდლოვსკის „ურალმაში" და ნოვოსიბირსკის „სიბირიაჩკა".

ნოვოსიბირსკის ჯგუფში პირველ დღეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი შეხვდა ლენინგრადის „ბურევესტნიკს". ანგარიში თავიდანვე ლენინგრადელებმა წაიყვანეს. მე-9 წუთისათვის ისინი წინ იყვნენ 7 ქულით (17:10), პირველ ნახევარს ლენინგრადის გუნდი იგებს ანგარიშით 29:21.

მეორე ნახევარში თბილისელმა კალათბურთელებმა რამდენიმეჯერ სცადეს ინიციატივის ხელში აღება, მაგრამ ამაოდ. მატჩი მოიგეს ლენინგრადელებმა — 59:40.

შეჯიბრებას მეორე ტურში ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელები შეხვდნენ კაუნასის „პოლიტექნიკის" წარმომადგენლებს. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება ანგარიშით 52:50 მოიპოვეს საქართველოს სტუდენტებმა.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „დინამო" (მოსკოვი)-„სტალი" (დნეპროპეტროვსკი) — 52:46, ტტტ (რიგა)-„ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — 55:51, „ბურევესტნიკი" (მოსკოვი)-„ბურევესტნიკი" (ალმა-ატა) — [illegible].

ლენინგრადის ჯგუფის შეხვედრებმა ასეთი შედეგები მოგვცეს: უსკა (ტარტუ)-„ჟალგირისი" (ვილნიუსი) — 52:41, „ტრუდი" (ლენინგრადი)-„სპარტაკი" (ერევანი) — 60:38, სკა (ლენინგრადი)-„ბურევესტნიკი" (როსტოვი) — 64:48, „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი)-„დინამო" (მინსკი) — 55:31, „ბურევესტნიკი" (როსტოვი)-„ინქდორსტროი" (კიშინიოვი) — 54:37, უსკა (ტარტუ)-„დინამო" (კიევი) — 49:47.

# ეპიზოდური ბრძოლა ჩემპიონს არ შეშვენის



ზამთრის არდადეგების პრიზზე „ბურევესტნიკის" ხელბურთელთა საკავშირო შეჯიბრების პირველი ტურის ოთხი მატჩის შედეგები ჩვენმა გაზეთმა უკვე გამოაქვეყნა. დანარჩენი ორი მატჩი კი ასე წარიმართა: ჩერკასისა და კრასნოიარსკის პედაგოგიური ინსტიტუტების ქალთა გუნდების შეხვედრაში გამარჯვება პირველებს დარჩათ — 12:6; მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ვაჟთა კოლექტივმა ანგარიშით 15:12 დაამარცხა მინსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენები. როგორც უკვე ვიუწყებოდით, თბილისის „ბურევესტნიკმა" იოლად სძლია თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ჯერ კიდევ გამოუცდელ კოლექტივს — 37:14 (18:6). ამ მატჩში გამარჯვებული გუნდიდან ყველაზე მეტი — 8 ბურთი გაიტანა ცერცვაძემ. ანთაძემ გაიტანა 7 ბურთი, კოპალეიშვილმა — 6, მაჭავარიანმა — 4, ზარდალიშვილმა, ბაგრატიონმა და ფხაკაძემ — 3-3, ექსეულიძემ — 2, ხოლო კარტოზიამ—1.

კვირას შედგა II ტურის მატჩები. ამ დღეს შეჯიბრების დებიუტანტი — უცხო ენათა ინსტიტუტის კოლექტივი შეხვდა ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საკმაოდ გამოცდილ გუნდს. თბილისელებმა პირველ ტაიმში სრულიად ვერ აუღეს ალღო ლენინგრადელებს და ეს ტაიმის დასასრულს, ლოგიკური შედეგით, ანგარიშში დიდი სხვაობით აღინიშნა — 7:16. მეორე ტაიმის პირველ ათ წუთში თბილისელებმა თავგანწირული ბრძოლის შედეგად ანგარიშში სხვაობა საკმაოდ შეამცირეს (13:17) და თითქოს ახლოსაც იდგნენ თამაშში გარდატეხასთან. მაგრამ აქ თავი იჩინა მასპინძელთა ფიზიკურმა ხისუსტემ და საბოლოოდ ლენინგრადელებმა მატჩი დამაჯერებლად მოიგეს — 28:18.

თბილისის „ბურევესტნიკისა" და მინსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელბურთელთა კოლექტივები ერთმანეთს კარგად იცნობენ. თბილისელები მართალია, ამ ბოლო წლებში მინსკელებს ყოველთვის უგებდნენ, მაგრამ ამ გამარჯვებებს ყოველთვის დრამატულ და დაძაბულ ბრძოლაში იპოვებდნენ. საბჭოთა კავშირის I ჩემპიონატზე კაუნასში თბილისელებმა მხოლოდ მეორე ტაიმის ბოლოს მოახერხეს გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება და მატჩის მოგება — 31:25. ერთის შეხედვით კვირას ჩატარებულ მატჩშიც ბრძოლა თითქოს ამ გზით ვითარდებოდა, მაგრამ ამჯერად თბილისელები მოედანზე ძალზე სუსტად გამოიყურებოდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი გუნდის ყველა რგოლი სუსტი იყო. თავდამსხმელები ჩქარობდნენ, ნერვიულობდნენ მატჩის თითქმის მთელ მანძილზე. თავდაცვაში კი არ იყო მოწესრიგებული ურთიერთდაზღვევა, მასპინძელთა კარის მისადგომებთან ხშირად იქმნებოდა ლია „დერეფნები". რამ გამოიწვია ასეთი უსისტემობა? საქმე იმაშია, რომ თბილისელთა გუნდის გამთამაშებელი და კაპიტანი ანთაძე მეტოქეების მიერ საკმაოდ მტკიცედ იქნა „ჩაკეტილი". ეს იქიდანაც ჩანდა, რომ მთელ მატჩში მან მხოლოდ ერთი ბურთი გაიტანა და ისიც შვიდმეტრიანი საჯარიმოდან. თუმცა თამაშში ერთი კაცის „ჩაკეტვა" სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მთელმა კოლექტივმა, მისმა კაპიტანმა და ლიდერებმა არ იბრძოლონ თამაშის სხვა ყაიდაზე გარდაქმნისათვის და შექმნილ სიტუაციაში თამაშის შესაფერი ვარიანტის გამოძებნისათვის. სამწუხაროდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ამოცანის შესრულება არავინ იკისრა და ყველაფერი მიენდო თვითდინებასა და ეპიზოდურ აღტყინებას. სწორედ ეპიზოდებში ფხაკაძის უნაკლო თამაშმა (საერთოდ საუკეთესო ამ დღეს მოედანზე ფხაკაძე იყო) და ცერცვაძის ზუსტმა ტყორცნებმა თბილისელებს მატჩის მოგების შესაძლებლობა მისცა — 14:12 (7:8).

აღნიშნულ მატჩში ცერცვაძემ გაიტანა 7 ბურთი, ფხაკაძემ — 4, ანთაძემ, მაჭავარიანმა და ბაგრატიონმა — თითო. მატჩის პირველი ტაიმის მანძილზე სტუმრები წინ იყვნენ ცხრაჯერ — 3:2, 4:3, 5:3, 5:4, 6:4, 6:5, 7:6, 8:6, 8:7, მასპინძლები კი ორჯერ — 1:0, 2:1. თბილისელებმა მხოლოდ მეორე ტაიმში იძალეს და მხოლოდ ერთხელ გაუშვეს წინ სტუმრები. საერთოდ, ამ დღეს თბილისელებმა თავიანთი უფერული თამაშით იმ დასკვნამდე მიგვიყვანეს, რომ გუნდში რამდენადმე თვითკმაყოფილების გრძნობა ვითარდება. ეს ნაკლი თუ ახლავე არ აღმოიფხვრა და მომავალი დიდი შეჯიბრებისათვის სპორტსმენებმა სათამაშო ფორმა არ აღიდგინეს, ჩემპიონის ტიტულს შეიძლება სრულიად უსიამოვნო სიტყვა „ექს" მიემატოს.

II ტურის დანარჩენ მატჩებში ფიქსირებული იქნა ასეთი შედეგები: ქალები — სკიფი (ლენინგრადი)-სკიფი (მინსკი) — 9:6 (3:1); სკიფი (კიევი)-პედაგოგიური ინსტიტუტი (კრასნოიარსკი) — 13:6 (5:4); პედაგოგიური ინსტიტუტი (ჩერკასი)-პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სვერდლოვსკი) — 11:7 (7:3); ვაჟები — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი)-მეტალურგიული ინსტიტუტი (დნეპროპეტროვსკი) — 26:10 (14:7).

გუშინ შედგა III ტურის თამაშები. ქვემოთ მოგვყავს შედეგები: ქალები — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სვერდლოვსკი)-პედაგოგიური ინსტიტუტი (კრასნოიარსკი) — 10:2 (1:1), პედაგოგიური ინსტიტუტი (ჩერკასი)-სკიფი (მინსკი) — 15:1 (6.0).

ვაჟები — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (მინსკი)-უცხო ენათა ინსტიტუტი (თბილისი) — 25:23.

დღეს შეჯიბრების მონაწილეები ისვენებენ, ხოლო ხვალ, დღის 15 საათზე ასპარეზობა განახლდება.

ჯ. ენუქიძე

• • •

**სურათზე:** თბილისელი ი. ფხაკაძე მინსკელთა კარის აღების დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## რუსთავი

გასულ კვირას რუსთავის ფიზკულტურის სახლი სპორტის მოყვარულებით გაივსო. აქ მოეწყო ამხანაგური შეხვედრა თბილისის „სპარტაკისა" და რუსთავის მოკრივეთა ნაკრებ გუნდებს შორის. ბრძოლა დაიწყო თბილისელთა უპირატესობით და ანგარიშიც სწრაფად იზრდებოდა მათ სასარგებლოდ. პირველ ხუთ წონით კატეგორიაში თბილისელი მოკრივეები წინ გავიდნენ — 5:0. პირველი გამარჯვება რუსთავის გუნდს მოუპოვა ვ. გალოტამ — 1:5. შემდეგ ანგარიში კვლავ თბილისელთა სასარგებლოდ გაიზარდა — 9:1. საბოლოო გამარჯვება დიდი უპირატესობით მოიპოვეს თბილისელმა სპორტსმენებმა — 10:3.

ო. გაგრიძე

## ბაკურიანი

თბილისის ფეხსაცმლის მე-2 ფაბრიკის ფიზკულტურული კოლექტივი ბაკურიანში ყოველწლიურად აწყობს სპორტსმენთა შეკრებას, ამ ტრადიციას მათ არც წელს უღალატეს და მოაწყვეს 12-დღიანი შეკრება. ამ პერიოდში ჩატარდა ფაბრიკის პირველობა სლალომსა და სწრაფდაშვებაში.

სლალომისტთა ტურნირი მოიგო კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ზ. მაჩაიძემ, სწრაფდაშვებაში გამარჯვება წილად ხვდა ფაბრიკის წუნმდებელს ზ. ბოჭორიშვილს.

ჯ. მორგოშია

## ქობულეთი

ქობულეთის სპორტული სკოლის დარბაზში გაიმართა მოკრივეთა შეჯიბრება, რომელშიც 68 სპორტსმენი მონაწილეობდა. ორი დღის საინტერესო ბრძოლების შემდეგ პირველი ადგილები დაიკავეს ი. ტარასოვმა, კ. წიფურიამ, ა. კოზზიკოვმა, ჯ. მალიშევმა, ს. პოზინიჩმა, გ. ქუკოვმა, ე. ოთიაშვილმა და შ. ჯაფარიძემ.

ა. გიორგაძე

# Ე. ᲒᲠᲘᲨᲘᲜᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲣᲯᲔᲕᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲡ

ალმა-ატაში მედეოს მაღალმთიან საციგურაოზე, დამთავრდა საბჭოთა კავშირის უძლიერეს მოციგურეთა შეჯიბრება ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე.

დიდი წარმატება მოიპოვა 500 და 1.500-მეტრიან დისტანციაზე გამოჩენილმა საბჭოთა სპრინტერმა ევგენი გრიშინმა. 500 მეტრის გავლას მან მოანდომა 39,7 წამი, რაც მესამე შედეგს წარმოადგენს მსოფლიოში ციგურებით რბენის მთელი ისტორიის მანძილზე. კიდევ უფრო შესანიშნავი მაჩვენებელი ჰქონდა მას 1500 მეტრზე რბენაში — 2 წუთი და 8,1 წამი. ეს საუკეთესო მიღწევაა მსოფლიოს მასშტაბით.

5000 მეტრზე ფინიშთან პირველი იყო ალმაატელი ვ. გეიდერიხი — 7.56,9. 10.000 მეტრზე მან კვლავ მოიპოვა გამარჯვება შედეგით 16 წუთი და 41,4 წამი.

საბჭოთა საციგურაო სპორტის დიდი გამარჯვების მაჩვენებელია შედეგი მრავალჭიდშიც. ალმაატელმა ოლეგ შაბჭროვმა დააგროვა 182,763 ქულა, რაც საბჭოთა კავშირის ახალ რეკორდს წარმოადგენს და აღემატება მსოფლიო ოფიციალურ რეკორდსაც მრავალჭიდში. ო. შაბაროვს გადაეცა ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზი.

# 5 ᲛᲔᲢᲠᲖᲔ ᲖᲔᲕᲘᲗ

ფინეთის ქალაქ ლახტში ახლახანს გაიმართა ქვეყნის უძლიერეს მძლეოსანთა შეჯიბრება დახურული დარბაზის პირობებში. შეჯიბრება აღინიშნა ბრწყინვალე შედეგით ჭოკით ხტომაში. 2 თებერვალს მსოფლიოს რეკორდსმენმა ფინელმა მხტომელმა პენტი ნიკულამ სპორტის ამ სახეობის მთელი ისტორიის მანძილზე პირველად გადალახა 5-მეტრიანი ზღვარი, შემდეგ აჩვენა შედეგი — 5 მ 10 სმ და ამით ახალი ეტაპს დაუდო სათავე ჭოკით ხტომაში.

# ოლიმპიადის ქვეყანაში

დიდ სამზადისში არიან იაპონელი მწვრთნელები და სპორტსმენები. სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მათი ეროვნების ადამიანებს მოკლე ფეხები და ხელები აქვთ, ნაკლებია მათი საერთო მუსკულატურა და ფილტვების მოცულობაც, ამიტომ აქ გადაწყვეტილი აქვთ ოლიმპიურ ასპარეზზე ძირითადი აქცენტი გაკეთდეს სპორტის შემდეგ სახეობებზე: კრივი, ჭიდაობა, სიმძიმეების აწევა, ტანვარჯიში, მარათონი, ცურვა. შექმნილია საგანგებო „ცენტრი“, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ოლიმპიელთა მზადებას.

ოლიმპიურ თამაშებზე სარბენი გზა დაყოფილ უნდა იქნას ბილიკებად. ტოკიოში ექვსივე ბილიკს სხვადასხვა საფარი აქვს. გულდასმითი ექსპერიმენტების შემდეგ შეირჩევა საუკეთესო შემადგენლობა, რომლითაც დაიფარება მთელი სარბენი სექტორი.

სტადიონზე აკეთებენ ვეება ელექტროტაბლოს, რომელიც იტევს 500 ასოსა და ციფრს. ამ ტაბლოს სამართავად დადგმულია სპეციალური ელექტრონული მანქანები.

დიდ სტადიონზე, რომელზეც მოეწყობა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი შეჯიბრებები (ცერძოდ, მძლეოსნობა), მთელი რიგი ტექნიკური სიახლეებია. მაგალითად, მიწისქვეშ გაიყვანენ გვირაბებისა და გასასვლელების მთელ ქსელს, რომელიც მძლეოსნებს საშუალებას მისცემს გასახდელიდან გავიდნენ პირდაპირ სტარტის ხაზზე. კეთდება მიწისქვეშა მანეჟი მოთელვისათვის.

იაპონიის თავდაცვის მთავარი სამმართველო აკომპლექტებს ე. წ. „ოლიმპიურ დივიზიას“, რომლის შემადგენლობაში შედის 7.000 ჯარისკაცი. დივიზიის შეიარაღება შეადგენს 300 ავტომანქანას, 9 თვითმფრინავს, 40 ხომალდს. ოლიმპიადის არმიელთა მთავარი დანიშნულებაა დახმარება გაუწიოს პოლიციას საერთო წესრიგის დამყარებაში.

შექმნილია საგანგებო ფონდი იაპონელ სპორტსმენთა მოსამზადებლად. თანხა, დიდია, მაგრამ იგი არათანაბრადაა განაწილებული. იმ სახეობებს, სადაც მასპინძლებს მეტი პერსპექტივა აქვთ, მეტი სახსრები ეძლევა.

## კვლავ წარუმატებლად

ტიროლიის ქალაქ ზეეფელდში (ავსტრია) გრძელდება 20 ქვეყნის მოთხილამურეთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება. ტურნირის მესამე დღეს მოეწყო ორჭიდელთა (ხტომა ტრამპლინიდან და რბენა 15 კილომეტრზე) შეჯიბრება. 15-კილომეტრიანი ტრასა მეტად რთულ რელიეფურ ადგილზე იყო შერჩეული. საკმარისია ითქვას, რომ დისტანციის სიმაღლეთა სხვაობა 500 მეტრს აღემატებოდა.

კვლავ წარუმატებლად გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. საუკეთესო შედეგი ორჭიდში ჰქონდა ნ. გუსაკოვს, რომელმაც მხოლოდ მერვე ადგილი დაიკავა. ვ. კ[illegible]ნი აღმოჩნდა მეათე, ხოლო მ. ტრიახინი მეცამეტე ადგილზე.

ტურნირში გამარჯვება მოიპოვა დასავლეთ გერმანიის წარმომადგენელმა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა გ. ტომამ. პრიზიორთა სამეულში შევიდნენ აგრეთვე გ. მაინელი (გდრ) და ნორვეგიელი ტ. კნუტსენი.



ვინ იყო ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი მსოფლიოში 30-იან წლებში? ძველი თაობის ადამიანი დაუფიქრებლად დაასახელებს რამდენიმე გვარს. მათ შორის აუცილებლად იქნება სამი სახელგანთქმული მეკარე: ლეგენდარული ესპანელი რიკარდო ზამორა, ავსტრიელი რუდი ხიდენი და ჩეხი ფრანტიშეკ პლანიჩკა.

ფრანტიშეკ პლანიჩკა, 59 წლის ტანმოსული ჭაღარა მამაკაცი, დღეს პრაღაში ცხოვრობს და წვრთნის ახალგაზრდა ფეხბურთელთა გუნდს. იგი დაუღალავად გადასცემს მდიდარ გამოცდილებას ნორჩ ფეხბურთელებს.

პირველი ოფიციალური მატჩი პლანიჩკამ ჩაატარა 1925 წელს პოლონეთის გუნდთან. მას შემდეგ მრავალჯერ დაიცვა პლანიჩკამ თავისი კლუბისა და ეროვნული ნაკრების სპორტული ღირსება.

პოპულარულ მეკარეს ხშირად „აწუხებენ“ კორესპონდენტები სხვადასხვა კითხვებით. პლანიჩკა ყოველთვის ამომწურავ პასუხებს აძლევს მათ.

— რომელ ფეხბურთს თვლით თქვენ ყველაზე ძლიერად, პროგრესულად? — ჰკითხეს მას პოლონელმა კორესპონდენტებმა, — ინგლისურს! — განაცხადა პლანიჩკამ.

— რომელი თქვენი მატჩი მიგაჩნიათ საუკეთესოდ?

— 1937 წელს ინგლისთან შეხვედრა, რომელიც მოვიგეთ 5:4.

— თამაშობდით თუ არა ზამორას წინააღმდეგ?

— არაერთხელ, მაგრამ ყველაზე უფრო დამამახსოვრდა შეხვედრა ბარსელონაში ესპანელებთან, რომელიც ფრედ, 0:0 დამთავრდა. ამ მატჩში როგორც მე, ისე ჩემმა ესპანელმა კოლეგამ რამდენიმე მეტად ძნელი ბურთი ავიღეთ.

ზედა სურათზე თქვენ ხედავთ ფრანტიშეკ პლანიჩკას, რომელიც ნორჩ მეკარეებს ასწავლის ბურთის სწორად მიღების ტექნიკას. ქვევით — ფრანტიშეკ პლანიჩკა გადაღებულია თავის სპორტულ მედლებთან ერთად.



## რამდენიმე პასუხი

პოლონურ გაზეთ „სპორტის“ (ქ. კატოვიცე) კორესპონდენტი ეწვია ცნობილ ფეხბურთელს, ჩეხოსლოვაკიის ნაკრების უცვლელ კაპიტანს ლ. ნოვაკს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას.

**კითხვა**; 1962 წელს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა 11 საერთაშორისო მატჩი ჩაატარა. რომელი მიგაჩნიათ გუნდის უდიდეს მიღწევად და რომელი ჩავარდნად?

—ჩეხოსლოვაკიის ნაკრების საუკეთესო თამაშად მიმაჩნია მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი ჩილეში ბრაზილიელებთან. იგი გამოირჩეოდა როგორც ტექნიკური სრულყოფით, ისე დრამატიზმითაც. ჩვენი ყველაზე სუსტი მატჩი, რა თქმა უნდა, იყო ბერლინში წაგება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან — 1:2. გერმანელები იმ დღეს ძლიერ კარგად თამაშობდნენ. აი ჩეხების 11 მატჩის ჩემპიონური კლასიფიკაცია: 1. ბრაზილიასთან — 1:3, 2. ავსტრიასთან — 6:0, 3. ესპანეთთან — 1:0. 4. იუგოსლავიასთან — 3:1, 5. უნგრეთთან — 1:0, 6. ბრაზილიასთან — 0:0, 7. ურუგვაისთან — 3:1, 8. მექსიკასთან — 1:3, 9. პოლონეთთან — 2:1, 10. შვეციასთან — 1:3, 11. გდრ-სთან — 1:2.

**კითხვა**: რომელი წლებია ფეხბურთელის სიმწიფის, უმაღლესი მიღწევების წლები?

—ჩემის აზრით, ესაა 27-32 წლები. რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს თუ როგორ იცავს რეჟიმს ფეხბურთელი, როგორი სისტემით ვარჯიშობს. მეტიუზმა, დი სტეფანომ, ბლანჩფლაუერმა, გროშიჩმა, ბოჟიკმა, ჰანაპიმ, ჩარლზმა, რაიტმა სწორედ ამ ასაკში მიაღწიეს უმაღლეს წარმატებებს.

**კითხვა**. ვინ მიგაჩნიათ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ახლანდელი გათამაშების მთავარ ფავორიტად?

—მთავარ ფავორიტად უნდა ჩაითვალოს თასის ახლანდელი მფლობელი — ლისაბონის „ბენფიკა“. არ გაუმართლა ჩემს საკუთარ კლუბს — „დუკლას“, რომელიც კენჭისყრის თანახმად მეოთხედფინალში სწორედ „ბენფიკას“ უნდა შეხვდეს, მაგრამ „დუკლას“ ყოველთვის შესწევს ძალა უძლიერეს კლუბებთანაც წარმატებით ბრძოლისა. ასე მაგალითად, „დუკლას“ დამარცხებული ჰყავს „სანტოსი“ (4:3), ინგლისის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი „ევერტონი“ (7:2 და 2:0), „ბოტაფოგო“ (1:0), რიო-დე-ჟანეიროს „ამერიკა“ (2:1), ბარსელონას „ესპანიოლი“ (5:1).

## „ინტერნაციონალეს“ მარცხი

იტალიის თასის მერვედფინალში მოულოდნელი მარცხი განიცადა ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა, მილანის „ინტერნაციონალემ“. მან წააგო მეორე ლიგის კლუბ „პადოვასთან“ (1:2). ახლა „პადოვა“ მეოთხედფინალში შეხვდება პირველი ლიგის გუნდს „ატლანტას“ (ბერგამო).

საყურადღებოა, რომ გათამაშებას გამოეთიშნენ იტალიის ჩემპიონი „მილანი“, უძლიერესი კლუბი „ინტერნაციონალე“, „ბოლონია“, „ფიორენტინა“, „რომა“ და სხვები.

# სხვათაშორის

### ზედმეტი მოუვიდა

სამილე აბის წყალობით სურდა შეენარჩუნებინა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული 20 წლის იაპონელ მოკრივეს, პროფესიონალ მასახიკო მარადას. 36 საათი იძინა მან ტაილანდელ პონ კინგპეტჩთან ბრძოლის წინ. იაპონელი ასეთი გზით ცდილობდა არ დაელია, არ ეჭამა და შეენარჩუნებინა წონა უმჩატეს კატეგორიაში.

ჩემპიონი გამოვიდა რინგზე ფერმკრთალი, ჩავარდნილი ლოყებით და, რა თქმა უნდა, წააგო ბრძოლა, რამდენიმე წლის წინ კი მან ჩვეულებრივი მეთოდებით, საკმაოდ ადვილად მოუგო შეხვედრა ამ ტაილანდელს.

### უცნაური გულშემატკივარი

ცეილონის ფეხბურთის კლუბს „კოლიმბო რენჯერს“ ჰყავს ერთი უცნაური გულშემატკივარი, რომელიც არაჩვეულებრივად მხურვალედ განიცდის თავისი გუნდის ყველა წარმატებას.

ეს უცნაური ფეხბურთისმოყვარული არის სპილო. ცეილონელმა ფეხბურთელებმა დიდი ენერგია დახარჯეს ცხოველის გაწვრთნაზე, სამაგიეროდ, მათ საკმაოდ ეფექტურ შედეგს მიაღწიეს. თუ თავისი გუნდის თავდამსხმელები მოწინააღმდეგის კარში გაიტანენ ბურთს, სპილო რეფლექსურად სწევს ხორთუმს მაღლა და გამოსცემს გამაყრუებელ ხმას.

**რედაქტორი ი. უგულავა.**

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00337